

ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით დიდი საკონცერტო დარბაზის თეატრალური განათების მოწყობის შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

2015 წელი
ქ. თბილისი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის იხილეთ [www. procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)-ზე

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

2.1.1. შესყიდვის ობიექტია თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის აღ. გრიბოედოვის ქ. №8/10-ში მდებარე შენობაში დიდი საკონცერტო დარბაზის თეატრალური განათების მოწყობა. გასანათებელი მოწყობილობის აღწერილობა და მოცულობა მოცემულია ცხრილის სახით.

საქონლის დასახელება	ტექნიკური პარამეტრები, აღწერილობა	რაოდენობა
პროფესიონალური თეატრალური პროექტორი	განათების ფერადი ფილტის ჩარჩოთი და დამცავი ზადით, მყარი კორპუსი, გახურებისგან დაცული სამაგრი, ფოკუსის ხელით ცვლის შესაძლებლობა 10-დან 40 გრადუსამდე, ნათურის მარტივად გამოცვლის საშუალება, Antihalo ლინზით, კონკრეტული მინათებით, სილიკონის კაბელით და უსაფრთხო დენის ბუდით, ძაბვა: 230ვ, 50ჰც, მოხმარებული სიმძლავრე: მაქს. 1000ვტ, სოკეტი: GX-9.5, ნათურისთვის: 650-დან 1000 ვატამდე, ზომები: 370 x 255 x 340 mm, წონა: 5კგ	16
ნათურა თეატრალურისთვის	ძაბვა: 230 V, რეიტინგი: 1000 W, სოკეტი: GX-9.5 ნათურისთვის, სიცოცხლის ხანგრძლივობა: 750 სთ, ნათების ტემპერატურა: 3200 K, კონტაქტების დისტანცია: 9.5 mm, ფერი: თეთრი, დიამეტრი: 27 მმ, სიგრძე: 98 mm	20
თეატრალური სანათი (ფლუდი)	მოდრავე კორპუსი, ამრეკლის მაღალი ხარისხი, 1000 ვტ სანათი, ნათების 100 გრადუსიანი კუთხე, ინტელექტუალური მანათობელი, R-7 პოლუსიანი სანათი, დამცავი ზადით და ფერადი ფილტრის ჩარჩოთი, ძაბვა არაუმეტეს 230ვ, 50 ჰც, დენის მოხმარება არაუმეტეს 1000ვტ, ზომები: არაუმეტეს 360-230-330მმ წონა: არაუმეტეს 4კგ	16
ნათურა ფლუდისთვის	ნათების მინიმალური სიმძლავრე 500ვტ, ჰორიზონტალურად 750-2000ვტ, ნათების ტემპერატურა 3200 კელვინი, ნათების სიმძლავრის შემცირების უნარი, ორმხრივი ბაზისით, ნომინალური ძაბვა 230ვ, ძაბვა ცვლადი დენიდან 230ვ 50ჰც, დენის მოხმარება 1000ვტ, ბუდე R-7, ნათების სიმკვეთრე 18000 ლუმენი, სიცოცხლის ხანგრძლივობა 1000 საათი	20
სანათის სამაგრი Ø38/50მმ მილებისთვის	ნაკაწრებისგან დამცავი ზედაპირი, შავი პლასტმასა, მაქსიმალური დათვირთვა: არაუმეტეს 50კგ ჰორიზონტალური მიმართულებით მაქსიმალური დატვირთვა; არაუმეტეს 25კგ ვერტიკალური მიმართულებით დატვირთვა; ზომები: არაუმეტეს 108 x 90 x 48 მმ, წონა: არაუმეტეს 0.21კგ	32
დიმერი	არაუმეტეს 12 არხიანი დიმერი გამომავალი 16 არხზე მოდულური კონსტრუქცია (თითო დიმერი ცალკეცალკე), 1 ან 3 ფაზიანი დენის წყარო მართვის ტიპი: DMX512 და ანალოგური მართვა, სანათის სიკაშკაშის რეგულირება (0-50%) შემზღვევით რათა არ მოხდეს სანათის დაზიანება, სიკაშკაშის რეგულირების და ჩართვა გამორთვის ფუნქცია თითო არხზე, ავტომატური ციფრული ფუნქცია DMX სიგნალის ცდომილების აღმოსაჩენად, 12 ჩაშენებული პროგრამა, სიჩქარის რეგულირებით ხელით მართვის რეჟიმი, გარე სიგნალისგან დამოუკიდებლად ყველა რეჟიმის ჩვენება LCD ეკრანის მეშვეობით სხვადასხვა სანათის სინქრონიზაციის შესაძლებლობა DMX-ის მეშვეობით წრედის ავტომატური გაწყვეტის რეჟიმი თითო არხზე (ტიპი C), დამაგრების ტიპი 4 U, დენის წყარო: არაუმეტეს 230-380ვ, 50 ჰც, მაქსიმალური გამომავალი სიმძლავრე არაუმეტეს 43470ვტ, 189ა მაქსიმალური გამომავალი სიმძლავრე არხზე არაუმეტეს 3680ვტ, 16ა კონტროლირებადი არხების რაოდენობა: არაუმეტეს 12 არხისა, ინტეგრირებული პროგრამა: არაუმეტეს 12 პროგრამისა, დამცველი: 12 x C 16, 230 ვ, DMX გამომავალი: 3 ფეხიანი დედალი (XLR socket), DMX შემავალი: 3 ფეხიანი მამალი (XLR socket), ზომები: არაუმეტეს 482 x 485 x 176 მმ, წონა: არაუმეტეს 27 კგ	3
108W RGB LED პარ სცენის სანათი ხელსაწყო	სიცოცხლის ხანგრძლივობა: არანაკლებ 10,000 საათისა, პროგრამის ავტომატური რეჟიმი, ალუმინის კორპუსი LED დიოდები: 3W*36ერთეული (12*3W წითელი + 12*3W მწვანე + 12*3W ლურჯი), დაკავშირება: 3 ფეხიანი XLR ჯეკი DMX-თვის, მუშაობის რეჟიმი: DMX 512/ხმის კონტროლერი/წამყვანი რეჟიმი/ამყოლი რეჟიმი/ავტომატური რეჟიმი, დენის კვება: ბივოლტაჟური 110ვ-დან 220ვ-250ვ, 50/60ჰც, წონა: 2.8კგ	8

ლედ ვოში	აღჭურვილი არანაკლებ 36 x 7 ვატიანი დიოდებით, RGBW ფერებით, შეუზღუდავი ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოძრაობის უნარი, დისტანციური მართვის შესაძლებლობა, 15, 16, 17 ან 24 DMX არხის არჩევის შესაძლებლობა. მოტორიზებული ზუმის ეფექტი (ნათების კუთხის ცვალებადობა 13°-60°), ციმციმის თავისუფალი პროექცირება, RGBW ფერების თანაბარი ცვლა, სტრობის ეფექტი რეგულირებადი სიჩქარით, პოზიციონების ავტომატური კორექცია, ხმით კონტროლის შესაძლებლობა ჩაშენებული მიკროფონით, ნათების გამოსახულების ეფექტის შეცვლა შესაძლებელია სამართავი პულტით, ანაც შესაძლებელი არის წინასწარ მოდელირებული სცენის ჩატვირთვა სანათის შიდა მეხსიერებაში, შესაძლებელია სცენების რაოდენობის ცვლა ინდივიდუალურად, სოფტის ატვირთვა შესაძლებელია დამატებითი აქსესუარებით DMX-ის მეშვეობით, დენის წყარო 100-240 ვ 50/60 ჰც, დენის მოხმარება 220ვტ, DMX512 მიერთება: 3-ფეხიანი XLR-ით ზომები არაუმეტეს 179 x 343 x 430მმ, წონა არაუმეტეს 8.5კგ, ეკოდიზაინის რეგულაცია	4
განათების სამართავი პულტი	არაუმეტეს 192 მართვის არხი 12 სანათი ხელსაწყოთვის თითო სანათზე არაუმეტეს 16 მართვის არხით. სანათის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოძრაობის მართვის შესაძლებლობა დილაკი fine-ის მეშვეობით არაუმეტეს 240 სცენის დაპროგრამების შესაძლებლობა 8 წინასწარ დაპროგრამებული სცენა სცენების კომპირების ფუნქცია Blackout ფუნქცია კვება 230 ვ, 50 ჰც, დენის მოხმარება: 4 ვტ, ხმით კონტროლის შესაძლებლობა ჩაშენებული მიკროფონის მეშვეობით, DMX512 გამომავალი: 3 ფეხიანი XLR კონექტორი, ზომები: 483 x 132 x 80 mm, თაროზე დამაგრება 3 U, დამაგრების მინიმალური სიღრმე 170მმ, წონა 2.5 კგ	1
ციფრული სიგნალის გამაძლიერებელი	ერთი შემავალი და ოთხი გამომავალი DMX არხით, შემავალი და გამომავალი ბუდეები იზოლირებული, გალვანურად მიერთების ტიპი 3 და 5 წვერიანი XLR დამაკავშირებელი, ყველა გამომავალი DMX არხი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, შემავალი და გამომავალი არხები შიდა დამცველით	1
	DMX კაბელი (მ)	200
	ქენონი მამალი	16
	ქენონი დედალი	16
	კაბელი 3/2.5 (მ)	100
	დენის 4 როზეტიანი გამანაწილებელი	4
	დედალი როზეტი	50
	მამალი როზეტი	10
	100 ამპერიანი ავტომატი	4
	ყუთი ავტომატების	1
ეკრანი	გაფართობით - 1366 x 768, გამოსახულების დამუშავების ტექნოლოგია - Video Processing - 10 Bit; Video Engine: Meta Brain Pro; Auto Signal Booster, სიხშირე - Active Motion Rate 100 Hz, ხედვის კუთხე: 176, დაყოვნება: 8.5 მ/წ., დამატებითი ფუნქციები - USB Media Playback; Ambient Light Sensor; Game Mode; Sleep Timer; Teletext, ხმის სიმძლავრე: 20 ვატი(10 x 2), სისტემა - Power Bass Booster; Stereo System (NICAM/A2), პორტები: HDMI /2, USB, Composit, Component, ANT. კვება: სამუშაო ძაბვის მოთხოვნილება: 110-240V 50/60Hz, ელ. მოხმარება: 30 W,	1
ტელევიზორის საკიდი	მომრავი	1
კამერა	სისტემა - PAL, ფუნქციები - ფერების და განათების ავტომატური რეგულირება, თეთრი ფერის ბალანსი, დღის და ღამის რეჟიმი, რეზოლუცია - 800 TV-Line, სისტემა - ანალოგური, გამოსახულების სენსორი - 1/3" CMOS, პორტები - აუვიო; ვიდეო. წონა 0.48 კგ, კვების ბლოკი - Adaptor PA-307(220VACtoDC12V5A), კამერის კაბელი - 1+2x0,50 mm CCTV, კამერის კვების კაბელი - Power Plug With 30cm Cable, კაბელი შემაერთებელი სამარჯვებით - ACCESSORY/1M RG59 Cable With BNC	1
	საინსტალაციო და სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება	1

აუცილებელი პირობები

- შემოთავაზებულ მასალებსა და მოწყობილობებზე (სამონაჟო დამხმარე მასალების გარდა) წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ბრენდის, მოდელის, მწარმოებლის მითითებით (დანართის N2-ის სახით).

- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს განხორციელებული არანაკლებ სამი პროექტი პროფესიული თეატრალური განათების მოწყობისა;
- შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ახალი და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.
- იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან საინსტალაციო სამონტაჟო სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა შესყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამონტაჟო სამუშაო;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტ ორგანიზაციას აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია, დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

2.1.2. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.2. მიწოდების პირობები და ვადები:

2.2.1. კონსერვატორიის დიდი დარბაზის მიმდინარე ღონისძიებების გრაფიკიდან გამომდინარე, საქონლის მიწოდება და თანხლები საინსტალაციო - სამონტაჟო სამუშაო უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 14 სამუშაო დღისა.

2.2.2. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8/10.

2.3. ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს მხოლოდ ლარში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საინსტალაციო-სამონტაჟო სამუშაოს სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში სსიპ „თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის“ 2015 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრებით.

2.3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლისა და შესრულებული საინსტალაციო-სამონტაჟო სამუშაოს შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადების და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.4. პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია - ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოსადგენი დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალი:

2.4.1. დიდი საკონცერტო დარბაზის თეატრალური განათების მოწყობილობებისა და საინსტალაციო-სამონტაჟო სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა დანართი №1 -ის შესაბამისად;

2.4.2. ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ განხორციელებული არანაკლებ სამი ანალოგიური პროექტის შესახებ დანართი №2-ის შესაბამისად;

2.4.3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ელ.ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი/ფაქსი, ხელმძღვანელისა და/ან ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი დანართი №3-ის შესაბამისად;

3. მიწოდებული საქონელის საგარანტიო ვადა

3.1 მიწოდებულ საქონელზე და სამონტაჟო სამუშაოზე საგარანტიო ვადა ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში, რაიმე წუნის (დეფექტი, ნაკლოვანება) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ წუნი/დეფექტი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული საინსტალაციო-სამონტაჟო სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის - „კითხვა/პასუხი“ მეშვეობით, ხოლო შესყიდვის პროცედურების შესახებ ინფორმაციისა და განმარტების მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს სატენდერო კომისიის აპარატში, შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8/10 საკონტაქტო პირი: ლიკა ქართლელიშვილი. ოთახი №2 ტელ: +995 322 995 906;

შენიშვნა: პრეტენდენტ(ებ)ის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული; გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის უნდა წარმოადგინოს დანართი №1-ში მითითებული ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაკლებული ფასების ცხრილი (სცენის თეატრალური განათების მოწყობის ხარჯთაღრიცხვა). სატენდერო დოკუმენტაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

პრეტენდენტი ვალდებულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში დარიცხვები განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ. თბილისი

----- აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ----- სახით და მეორეს მხრივ ----- წარმოდგენილი მისი ----- სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში - “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი, ფასი და სტანდარტები:

- 2.1 ხელშეკრულება დადებულია იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA-----) კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის თეატრალური განათების მოწყობის (CPV კოდი 31500000;) შესყიდვის მიზნით, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოთხსენებული სამუშაო ფასზე: ----- ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).
- 2.2 ერთეულის ფასები განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის №1 დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
- 2.3 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული დიდი საკონცერტო დარბაზის თეატრალური განათების მოწყობის ხარისხი, გამოყენებული მასალები და მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ და სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ სამონიტაჟო სამუშაოს შესრულების პარალელურად განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 3.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ

წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, სამონტაჟო სამუშაოების შესრულების მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება ამ სფეროში არსებული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს მასალების გამოყენება.

3.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებისაგან.

3.7 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სპეციალისტი -----.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 დიდი საკონცერტო დარბაზის თეატრალური განათების მოწყობა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 14 სამუშაო დღისა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 დიდი საკონცერტო დარბაზის თეატრალური განათების მოწყობის სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ ტექნიკური პირობების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებისა და წესების დაცვით შედგენილი აქტების საფუძველზე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

6.2 გადახდის ფორმა - უნაღლო ანგარიშსწორება.

6.3 ანგარიშსწორება მხარეთაშორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, შესაბამისად ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.

7.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონელისა და საინსტალაციო-სამონტაჟო სამუშაოს ღირებულება.

7.2.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.3.2 განახორციელოს შესრულებული სამონტაჟო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი ამ სფეროში არსებული ნორმებისა და წესებით გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

7.3.3 ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების (დიდი დარბაზის თეატრალური განათების მოწყობის) აქტებს.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.4.2 ამ სფეროში აღიარებული ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს თეატრალური განათების მოწყობის მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დასრულება დადგენილ ვადებში.

7.4.3 თეატრალური განათების მოწყობის (საინსტალაციო-სამონტაჟო სამუშაოს) შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამონტაჟო სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.4.4 სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

7.4.5 მიმწოდებელმა თეატრალური განათების მოწყობის განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის აზრუნველსაყოფად.

7.4.6 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები საინსტალაციო - სამონტაჟო სამუშაოს ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

7.4.7 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გერეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედანზე.

7.4.8 თეატრალური განათების მოწყობის დასრულების შემდეგ, გამოყენებულ საქონელზე და მოწყობილობებზე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეცვალოს/შეაკეთოს განათების/ან სხვა მოწყობილობა, აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამონტაჟო სამუშაოები.

7.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლისა და შესრულებული სამონტაჟო საინსტალაციო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით ყოველი გადაცილებული დღისათვის,

- 11.2** მხარეები ვალდებული არიან დაფარონ პირგასამტეხლო არაუგვიანეს მხარის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
- 11.3** მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობის ან/და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ან თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 11.4** საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**
- 12.1** შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
- (ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
 - (ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 12.2** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 12.3** შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
 - გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 12.4** ამ მუხლის მე-12.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულება.
- 13. ფორს-მაჟორი**
- 13.1** ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;
- 13.2** ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
- 13.3** ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
- 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა:**
- 14.1** შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარდონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
- 14.2** შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი:

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. შეტყობინება:

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17. გადასახადები და დაბეგვრა:

17.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2015 წლის 30 ივნისამდე.

19. დასკვნითი დებულებები:

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და თითო მათგანი ინახება მხარეებთან;

19.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, ტექნიკური დოკუმენტაცია და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და მისი განუყოფელი ნაწილია;

19.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებისა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

მიმწოდებელი:

დანართი №1

ფასების ცხრილი

საქონლის დასახელება	შემოთავაზებული ბრენდი, წარმოშობის ქვეყანა, მოდელი	სპეციფიკაცია ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება

პრეტენდენტი -----

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დანართი № 2

ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ განხორციელებული
ანალოგიური პროექტის შესახებ

წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმით:

N	ხელშეკრულების N	შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	განხორციელებული ანალოგიური პროექტი	ფაქტიურად შესრულებული პროექტის ღირებულება
1					
2					
3					
n					

პრეტენდენტი -----

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დანართი № 3

რეკვიზიტები:



N		
1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	საიდენტიფიკაციო კოდი	
3	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
4	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
5	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	მომსახურე ბანკის დასახელება	
8	ბანკის კოდი	
9	ანგარიშსწორების ანგარიში	

პრეტენდენტი -----

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ბ. ა.

სანათიების განლაგების გეგმა



- თეატრალური სპოტი 16 ერთეული
- თეატრალური ფლუდი 16 ერთეული
- ლედ კარი 8 ერთეული
- ლედ ვოში 4 ერთეული